ცნობის ფურცელი

№ 2596 | შაბათი, 28 აგვისტო | 1896—1904 | ყოველ-დღიური გამოცემა | № 2596

ფასი ღირს: წლიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ანჩის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372.

სკოლა-პანსიონი და საბავშო ბაღი
გოგაევსკი-ერისთავისა
გადავიდა ალექსანდროვის ქუჩაზე, № 27, ვეზირიშვილის სახლში.
ბავშვების მიღება დაიწყო 20 აგვისტოდან. (6. 0—4)

ფოთის საბუხჰალტერო კურსები
(წლიწადი მეხუთე)
სწავლა დაიწყება პირველ ენკენისთვიდან და გრძელდება ერთი წელი და ორი თვე. კურსებზე ღებულობენ როგორც ვაჟებს, ისე ქალებს. ასწავლიან: 1) საერთო ბუხჰალტერიას მარტივი და ორკეცი სისტემისა. 2) სპეციალურ ბუხჰალტერიას სხვა-და-სხვა დაწესებულებათა: ბანკების, ქარხნების, აქციონერულ საზოგადოებების, დიდ მაღაზიების და სხვათა ამგვართა. 3) სავაჭრო არითმეტიკას. 4) სავაჭრო ეკონომიას. 5) სავაჭრო გეოგრაფიას. 6) სავაჭრო და სათამასუქო კანონებს. 7) სავაჭრო მიწერ-მოწერას და 8) კალიგრაფიას.
კურსების დამაარსებელი **კ. გიგინეიშვილი.**
მსურველთ პროგრამებს უგზავნის უფასოდ. (25—6.—19)

ვ. ი. ჭიჭინაძემ უკვე დაიწყო კბილით ავათმყოფთა მიღება.

ტ ფ ი ლ ი ს ი ს
კერძო საავადმყოფო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დ ი ლ ი თ:
დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.
ა. ნ. დიასამიძე.—საშარდეს, ქირურგია, ვენერ. სიფილ. და კანისა 11—12 საათამდე.
გ. ტ. მუღინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის. 10—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9—10 ს.
ან. გ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათ. და პარასკე. 1-2 საათამდე.
მ. ა. ზიიერი.—შინაგანი და ბავშვებისა—1—2 საათ. ყოველდღე.
იმ. ქალი მ. კ. იოხილიანი.—ქალისა და საბებიო. სამშ., ხუთშ. და შაბათ. 11—12 ს.
დ. მ. მოსიძე.—ქალისა, საბებიო და ბავშვ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.
ნ. ტყეშელაშვილი.—კბილისა, 9—11 საათამდე.
ს ა ღ ა მ ო თ ი:
ს. მ. ხოზოლიშვილი.—ხირურგია და ორტოპედია. ორშაბათ. და შაბათ. 5—6 ს.
საავადმყოფოში ხდება ქიმიკურ-მიკროსკოპიული და ბაქტერიოსკოპიული გამოკვლევანი.
საავადმყოფოს აქვს თეთრი მუდმივი საწოლი.
ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. პინჩ. ქუჩიდან-კი 34 ნ.
(წლ.) ტელეფონი № 274.

ე ქ ი მ ი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს **თვალით ავადმყოფებს** ყოველ დღე დილის 12—2 ს., საღამოთი 6—8 ს., სამშაბათობით მხოლოდ საღამოობით. კიროჩნის და დიდ-პეთავრის ქუჩ. კუთხე, სახლი სვანიშვილისა № 11 (კიროჩნი ქუჩიდან).

ე ქ ი მ ი
ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
გადავიდა ბარონის ქუჩაზე № 18, მესხიშვილის ლიტოგრაფიის ზემოდ. იღებს სიფილისით და ვენერიულ სენით ავადმყოფებს, დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე. (0—8)

კბილის ექიმი
ივანე პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქ., № 38).
დაბრუნდა და იღებს ავადმყოფებს დილის 9—2-მდისა და საღამოს 5—7 საათამდე. კვირა-უქმობით—9—1-დისა და 5—6-მდ ის.

პ ა ნ ს ი ო ნ ი
ელისაბედის ქუჩა, № 71. ისარლოვისეული სახლი.
ალექსანდრე გიორგის ძე
მირზაშვილისა.
მიიღებიან ვაჟები საშუალო სასწავლებლებში მესამე კლასამდე მოსამზადებლად და აგრეთვე საზემლემერო სწავლებელში. (150—218—24)

კნიაგნები ელენე სვიმონის ასული ჩერქეზიშვილისა და ნინო დავითის ასული ჩოლოყაშვილისა **აცხადებენ**, რომ მომავალ ენკენისთვის პირველიდან ამ 1904 წ. აიყვანენ ბავშვებს ქ. სიღნაღში გარედან მოსიარულეებს მოსამზადებლად სხვა-და-სხვა სასწავლებელში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქ. სიღნაღს, სიღნაღის **ნოტარიუსს.** (3—287—1)

ტფილისის დურგალთა ამხანაგობის
საგანგებო კრება
დანიშნულია 29 მარიამობისთვისთვის 1904 წ. დილის 9 საათზე, ამხანაგობის **ახალ ქარხანაში** (ელისაბედის ქ., სახლი № 25. სასტ. „ვერსალ"-ის ახლო)
ეს კრება მეორედ ინიშნება და, ამხანაგობის წესდების 41 მუხლის ძალით, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს, კანონიერად ჩაითვლება და ყოველივე გადაწყვეტილება ამ კრებისა სავალდებულო იქნება ამხანაგობის ყველა წევრისათვის. განსახილველი საგნები იგივეა, რაც პირველად გამოვაცხადეთ.
(2—5.—1)—გამგეობის თავმჯდომარე **გრ. თოიძე.**

რუსეთ-იაპონიის ომი

დ ე პ ე შ ე ბ ი

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აგვისტო

ტოკიო, 25 აგვისტო („რეიტ. სააგ."). გაზეთმა „კუკუმინი"-მ შეიტყო, რომ იაპონიის არმიამ დაიჭირა სიმაღლეები ხეიენტაის ახლოს და შემდეგ დაიპყრო ადგილები იანტაიდან ქვა-ნახშირის მღვიმე-მაღაროებამდის. ახლო-მახლო მინდვრებზე მაღალმა გაოლიანმა დააბრკოლა რუსების დევნა იაპონელთა მიერ. გაზ. „ნაცი-ნიცი" ფიქრობს, რომ იაპონელთა ზარალი რუსებისაზე მეტია. მიკადომ მიმართა არმიას წერილით, რომელშიაც ულოცავს ბრწყინვალე გამარჯვებას მრავალ დაბრკოლებათა მიუხედავად. ამ წერილში ნათქვამია, რომ ომი კიდევ დიდ ხანს გაგრძელდებაო. მიკადო ურჩევს ჯარს ფრთხილადა და მოთმინებით იმოქმედოს. ოფიციალურ გაზეთში წინდაწინ გამოცხადებულია დებულებანი ნაციონალურ მილიციის შედგენის შესახებ.—უარჰყოფენ ხმას, ვითომც რუსები სინმინტინში მისულიყვნენ. რუსები რომ სინმინტინისკენ დაწეულიყვნენ, მათ წინსვლას დააბრკოლებდნენ იქ მყოფი ხუნხუზები.

ბერლინი, 26 აგვისტო. „ნაციონალ ცაიტუნგი"-ს სამხედრო კორესპონდენტი შემდეგსა სწერს კუროპატკინის უკან დახევის შესახებ: „თუ რუსეთის არმიის საბრძოლველმა ფრონტმა, რომლითაც კუროპატკინი 4 დღეს ებრძოდა იაპონელთ, კავალერიის დაუხმარებლად ისეთი წინაამდეგობა გაუწია მტერს, რომ იმის მფარველობის ქვეშ მანჯურიის მთელმა არმიამ მუკდენისაკენ დაწევა შესძლო, ეს ოპერაცია წარმოადგენს უდიდესს სამხედრო მოქმედებას, რომლითაც რუსეთს ნება აქვს ამაყობდეს".

ჩიფუ, 26 აგვისტო. საღამოს შორიდან ზარბაზნების ხმა ისმოდა. გემი, რომელმაც პორტ-არტურის წინ გაიარა, იუწყება, რომ ზარბაზნების სროლა არ გამიგონიაო. „ნოვი კრაი" იუწყება რუსების პოზიციების მარჯვენა ფრთეზე 17 და 18 აგვისტოს ბრძოლაში მომხდარ ცალკე შემთხვევათა შესახებ. 17 აგვისტოს, საღამოთი, რუსებმა მძლავრად დაუშინეს ზარბაზნები სიმაგრე №-3-დან სიმაგრე B-ს. საალყო ზარბაზნებს უმთავრესად უმიზნებდნენ ეგრედ წოდებულ „არწივის პატარა ბუდის" გორაკებს. იაპონელებმა ჩამოიღეს სახურავები ჩინელთა სახლებიდან და ჩინებულ სიმაგრეებად გადააქციეს. საღამოს 9 საათზე რუსების პოლკმა უეცრად იერიში მიიტანა იაპონელთა სანგრებზე. იაპონელებმა ვერ გაუძლეს რუსების ხიშტებს და სიმაგრე № 2-მდის დაიწიეს. რუსები ვერ გასცილდნენ ამ ადგილს, რადგან მტერი მძლავრად ესროდა ზარბაზნებს. ღამემ პოზიციებზე მშვიდობიანად გაიარა. 18 აგვისტოს, დილით, დასავლეთის ფრონტზე რუსების არტილერიამ უკან დააწევინა იაპონელთა კავალერიის პატარა რაზმს. იაპონიის ნაღმიანმა გემმა ზარბაზნები დაუშინა პროჟექტორს „ტიგროვი ხვოსტ"-ზე, მაგრამ რუსის ბატარეებმა უკან დააწევინეს და, როგორც სჩანდა, დაზიანეს კიდევაც.

შანჰაი, 26 აგვისტოს („რეიტ. სააგ."). ჩინელთა სიტყვით, რუსები რამდენიმე ათას ჩინელს ამუშავებენ ტელინში სიმაგრეების ასაგებად.

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ."). ერთ ამერიკელ ჟურნალის კორესპონდენტი ასწერს ლიაოიანთან მომხდარ ბრძოლას. ამ კორესპონდენტის დეპეშაში ნათქვამია: „მე ლიაოიანში ვიყავი ხუთშაბათს, როდესაც იაპონელებმა ყუმბარები დაუშინეს ლიაოიანს. იმ დროს, როდესაც ქუჩებიდან მიჰყვდათ დაჭრილნი, მოკლულ იქმნა ერთი მოწყალების და, ხოლო შვიდი დაიჭრა. ესენი ჰკრილობებს უხვევდნენ დაჭრილებს სადგურთან. მოწყალების დებმა საოცარი გმირობა გამოიჩინეს; ტანისამოს იხევდნენ და ნაჭრებით მეომრებს ჭრილობებს უხვევდნენ. თვითონ გაჰქონდათ ბრძოლის ველიდან დაჭრილნი. ისეთი ცეცხლის ფრქვევა და სროლა, როგორიც ასტეხა იაპონელთა არტილერიამ, არასოდეს არ უნახავს არც ერთ სამხედრო კრიტიკოსს. დავთვალე, რომ ერთის პოზიციიდან იაპონელებმა ერთ წუთში 10 ყუმბარა გაისროლეს".

ომსკი. აკმოლინის ოლქში კოტორკულსკის სტანიცის ყაზახთა მიწაზე ძმანი ბრანდნი აშენებენ ქარხანას კონსერვების მოსამზადებლად. ქარხანამ მოქმედება უნდა დაიწყოს პირველ ოქტომბრიდან და მანჯურიის ჯარისთვის მოამზადოს 200,000 ფუთი კონსერვი.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტის კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობასთან 25 აგვისტოს: „ამა 25 აგვისტოს ბრძოლა არ მომხდარა, წვრილ შეტაკებებს გარდა მოწინავე ჯარში. ზემოდ აღნიშნულს უქვეშევრდომილესად ვაუწყებ თქვენ იმპერატორებით უდიდებულესობას".

გენერალ-ლეიტენანტის ლიაპუნოვის უქვეშევრდომილესი დეპეშა, მისს იმპერატორებით უდიდებულესობას 25 აგვისტოს: „უქვეშევრდომილესად ვაცნობებ თქვენს იმპერატორებით უდიდებულესობას კარსაკოვში მყოფ ჯარის უფროსის დამატებით მოხსენებას. 24 აგვისტოს იაპონელთა კატერებმა (ნავებმა) სცადეს ჩაძირულ კრეისერის „ნოვიკ"-ის აფეთქება ნაღმებით. დილის 6 საათზე ჩვენის სადარაჯოებიდან შენიშნეს ზღვაში ორი გემის კვამლი, რის გამოც ჩვენმა რაზმმა პოზიცია დაიჭირა. როდესაც გემები 8 ვერსზე მიუახლოვდნენ კორსაკოვს და დადგნენ, გაარჩიეს, რომ ეს გემები იაპონელთა სამხედრო ტრანსპორტები იყო, 6,000 ტონისა. ტრანსპორტებიდან ჩაუშვეს ორი ორთქლით მოსიარულე კატერი. ეს კატერები გაემართნენ „ნოვიკ"-ისაკენ და 10 საათსა და 15 წუთზე მივიდნენ იქ, სადაც კრეისერი იყო ჩაძირული. როდესაც „ნოვიკ"-ის პალუბაზე შენიშნეს იაპონელთა მეზღვაურები, რაზმის უფროსმა უბრძანა, თოფების სროლა დაეწყოთ კატერებისა და პალუბასთვის. მტერმა ველარ მოასწრო განზრახვის სისრულეში მოყვანა და მალე მიანება თავი „ნოვიკ"-ის პალუბას. კატერები თავიანთ გემებთან წავიდნენ. ჩვენი რაზმი 3000 ნაბიჯის მანძილზე თოფებს ესროდა. კატერებიდან იაპონელებმა თოფის სროლითვე გაგვცეს პასუხი. 12 საათსა და 45 წუთზე ტრანსპორტებმა აიყვანეს კატერები და ზღვაში წავიდნენ. 1 საათსა და 35 წუთზე რაზმის უფროსი აფიცრებთან ერთად „ნოვიკ"-ის პალუბაზე წავიდა, სადაც ჰნახა 25 ლინეიანი თოფი და ჩაწყობილ, მაგრამ არ აფეთქებულ ნაღმების მავთულები. მაშინვე შეუდგნენ ნაღმების ამოღებას. დღემდე მშვიდობიანად ამოიღეს 9 ნაღმი, იაპონელების მიერ ჩაწყობილი კრეისერის სხვა-და-სხვა ნაწილში".

27 აგვისტო

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კრონშტადტის დიდ რეიდზე დაათვალიერა დიდ ოკეანეს მეორე ესკადრის გემები.

ვეი-ჰაი-ვეი, 26 აგვისტო („რეიტერ. სააგ."). კორნეგის ფოლადის ქარხანას იაპონიამ შეუკვეთა 7,500 ტონნა ნიკელით დაფერილი ფოლადის ნაჭრები ჯავშნიან გემებისათვის.

ლონდონი, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ."). როგორც გაუბანძიდან იუწყებიან, კუროპატკინი მუკდენში გუშინ მივიდა. მუკდენიდან წავიდნენ მცხოვრებნი და მოხელენი. ლიაოიანის ჩრდილოეთით ჯერ კიდევ ბრძოლაა.—ამერიკელი და ინგლისელი კორესპონდენტები უჩივიან იაპონელებს, რომელნიც არა იაპონელებს ისე უყურებენ, როგორც ჯაშუშებს.

ჩიფუ, 26 აგვისტო. („რეიტ. სააგ."). 23 აგვისტოს პორტ-არტურიდან წამოსული ჩინელები ამბობენ, რომ 21 აგვისტოს დიდი ბრძოლა მოხდაო. აღმოსავლეთ დ დასავლეთ მხარეს იაპონელებს იერიში მოუტანიათ რამდენსამე პოზიციაზე. რუსებს ახლო მიუშვიათ და მერე სროლა დაუწყიათ. ბრძოლამ გასტანა სამ საათს, რომლის შემდეგაც იაპონელებმა უკან დაიხიეს. ამ ბრძოლის დროს ცხენოსან პოლკებსაც მოუხდათ შეტაკება.

ჩიფუ, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ."). დალნიდან მოსული იაპონელები ამბობენ, რომ იაპონელების ჯარი პორტ-არტურთან ახალ იერიშისათვის ემზადებაო. 28 აგვისტოს იაპონელებმა ჩიფუდან პორტ-არტურში გაჰგზავნეს 70 ათასი კანაფის ტომარა და დაეძებენ 60 ათას ტომარას კიდევ. ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ამ ტომრებს ქვიშით გასტენავენ და შემდეგ იმ ხრილს ამოავსებენ, რომელიც რუსის ჯარის მარჯვენა ფრთეს იცავს.

ტოკიო, 26 აგვისტო („რეი[illegible]აგ."). ნამდვილის ანგარიშით, ლიაოიანთან რუსებს ჰყავდათ ქვეითა ჯარის 18½ ბატალიონი, ცხენოსან ჯარის 128 ესკადრონი და 572 ზარბაზანი.

ირკუტსკი. ირკუტსკში იყო გზათა მინისტრი თავ. ხილკოვი. მოხდა თათბირი ბაიკა-

ლის გარშემო რკინის გზის დასრულების შესახებ.

ლონდონი, 26 ავგისტო (ბერლინში მიღებული ცნობა). პორტ-არტურთან რუსებმა გამართეს ახალის კონსტრუქციის სიმაგრეები. მცოდნე კაცები ამბობენ, პორტ-არტურის აღება არ შეიძლება, თუ ჯარს საკმაო სურსათი ექმნებაო. გემმა, რომელმაც იაპონიის ფლოტის წრე გაარღვია, მიიტანა პორტ-არტურს ფქვილი და სამხედრო მასალა. იაპონელებმა ალყა გააძლიერეს; ჩასძირეს ორი ნავი სურსათით სავსე.

ჩიფუ, 26 ავგისტო (ბერლინში მიღებული ცნობა). იაპონიაში განუწყვეტელი სამხედრო მზადებაა. 19 ავგისტოდან ყველა რკინის გზაზე შესწყდა მატარებლების მიმოსვლა. ამ გზებით მიჰყავთ 40 ათასი სალდათი კობესა, ხასებოსა, ხიროშიმასა და სიმონოსეკის ნავთსადგურებში. ხმა დადის, იაპონელები ჯარს ვლადივოსტოკის წინააღმდეგ ჰგზავნიანო.

(დამის დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე)

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა ლიაოიანთან. 17, 18 და 19 ავგისტოს გენ. ოკუ და გენ. ნოძუ ლიაოიანთან იბრძოდნენ და რუსის პოზიციებს იღებდნენ. ამ დროს გენ. კუროკიმ თავისი ჯარი ტაიძიხეს გაღმა გაიყვანა და რუსის ჯარს გზის მოჭრა და ლიაოიანში მომწყვდევა დაუპირა. გენ. კუროკის არმიის გაღმა გასვლამ ხელად სულ სხვანაირად დაატრიალა საქმე და გენ. კუროპატკინს ლიაოიანი მიატოვებინა. „რუსკია ვედომოსტი“-ს სამხედრო თანამშრომელი ბ. ს. კ. სწერს: „ჯერ მეტად ცოტა ვიცით ლიაოიანის ბრძოლასა და გენ. კუროკის მდინარე ტაიძიხეში გასვლის თაობაზე. ის კი ებლავე შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ გენ. კუროკის მეტად მოხერხებული ადგილი აურჩევია წყალში გასასვლელად. საკვანტუნთან 100 ათას ჯარის-კაცს თამამად შეუძლიან გაღმა გასვლა, ისე რომ მტერმა ბევრი ვერა დააკლოს-რა, რადგან აქ მდინარე რკალივითაა შემოხვეული. იქ, მდინარის მარცხენა ნაპირი, საითაც იაპონელები იდგნენ, ყველგან მაღალია მარჯვენაზე. ამას გარდა, ეს ადგილი საკმაოდაა მოშორებული ლიაოიანზე (მდინარის პირ-პირ რკინის გზის ხიდამდე 40 ვერსია) და ამავე დროს სულ 25 ვერსის მანძილზეა მანჯურიის რკინის გზის სადგურ იანტაიდან. გენ. კუროკიმ...ად ამ რკინის გზის გულისათვის გადაიყვანა გაღმა თავისი ჯარი. საყურადღებოა აგრეთვე, რომ კუროკიმ მეტად საიდუმლოდ მოახერხა ეს საქმე, მართლაც და იაპონურ ოფიციალურ მოხსენებაში ნათქვამია, იაპონელებმა წყალში გასვლა 15 ავგისტოს ღამეს დაიწყესო, რუსებმა-კი პირველად ეს ამბავი 18 ავგისტოს, საღამოს 6 საათზე გაიგეს (როგორც გენ. სახაროვისა და „ნოვოსტ“-ის კორესპონდენტის დეპეშებიდან სჩანს), ისიც ნამდვილად ვერ შეეტყოთ და ჯერ მზვერავი რაზმი გაეგზავნათ რიგზე გასაგებად. აქედან სჩანს, რომ იმ ადგილას, სადაც იაპონელები წყალში გავიდნენ, რუსებს ჯარი არა ჰყოლიათ, თორემ გენ. კუროკის ტაიძიხეში გასვლას დროზე შეიტყობდნენ. ეგება, ვინ იცის, იქნება გენ. კუროპატკინს უნდოდა კიდევაც, რომ გენ. კუროკის არმია ტაიძიხეს მარჯვენა მხარეს გაეტყუებინა, მერე დიდის ჯარით დასცემოდა, დაემარცხებინა და უკან გაებრუნებინა. მაგრამ 20 ავგისტოს ბრძოლამ დაამტკიცა, რომ ამნაირი იმედი უსაფუძვლო იქმნებოდა. ასეა თუ ისე, რუსებმა მხოლოდ 19 ავგისტოს დილის 5 საათზე შეიტყეს ნამდვილად, რომ გენ. კუროკიმ ტაიძიხეს გაღმა ჯარი გადაიყვანა; იმ დროს სულ მცირედ ორი დივიზია ჯარი იქმნებოდა წყალ გაღმა გასული. გენ. კუროპატკინი ხელად მიხვდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა და ტაიძიხეს ფონისაკენ დიდი ჯარი გაგზავნა (ეტყობა, დივიზიაზე არა ნაკლები). ეს ჯარი მივიდა და მაშინვე სიკვანტუნთან (ფონიდან 10 ვერსის მანძილზეა) ფრიალო გორებზე პოზიციებს დაიჭირა. 19 ავგისტოს ღამით კუროკიმ ეს პოზიციები წაართვა რუსებს და ამით დიდ საფრთხეში ჩააგდო რუსის ჯარი, რადგან სიკვანტუნი მუკდენის გზას დაჰყურებს. მეტად საყურადღებოა, რომ გენ. კუროკის რუსებზე უმთავრესად სიკვანტუნსა და სახუტანს შუა მიუტანია იერიში, ესე იგი მუკდენის გზით წასულა და რუსის მარცხენა ფრთისათვის გვერდიდან შემოუვლია. 20 ავგისტოს დილით გენ. კუროპატკინმა დიდის ჯარით თითონ გაილაშქრა საკვანტუნისაკენ და შუადღის დროს რუსის ქვეითა ჯარმა იერიში მიიტანა იაპონელების პოზიციებზე. ეს მეტად მნიშვნელოვანი წამი იყო...

ლიაოიანის სიმაგრეების დასაცველად გენ. კუროპატკინმა მხოლოდ ერთი კორპუსი დასტოვა, ესე იგი 30 ათასი კაცი, დანარჩენი ჯარი-კი სულ ტაიძიხეს გაღმა გაიყვანა. 20 ავგისტოს რუსის არმიას, მოკლული და დაჭრილი რომ გამოვრიცხოთ, ალბად, კიდევ 195 ათასი კაცი ეყოლებოდა და 500 ზარბაზანზე მეტი ექნებოდა. კუროკის წინააღმდეგ რუსის მთავარ-სარდალმა 165 ათასი კაცი და 450 ზარბაზანი გაგზავნა. 20 ავგისტოს კუროკის მთელი არმია, ალბად, წყალ გაღმა იყო გასული, ასე რომ იაპონელებს წყალ გაღმა 125 ათასი კაცი ეყოლებოდათ და 450 ზარბაზანი ექნებოდათ; მაშ 20 ავგისტოს რუსის მთავარ-სარდალს 45 ათასი კაცი მეტი ჰყავდა და 150 ზარბაზანი მეტი ჰქონდა, ვიდრე გენ. კუროკის. რასაკვირველია, რუსის ჯარს თამამად შეეძლო გენ. კუროკის ჯარის დამარცხება.

კუროკიმ თავისი არმია ორ რაზმად გაჰყო: 35 ათასი კაცი იანტაის მაღაროებისაკენ გაგზავნა მუკდენის გზაზე, 90 ათასი კაცი სიკვანტუნთან დააყენა. პირველ რაზმს იანტაის მაღაროებთან გენერალ-მაიორ ორლოვის დივიზია დაუხვდა (12 ათასი კაცი). გენ. ორლოვმა ბრძოლის შემდეგ რკინის გზას სადგურ იანტაისაკენ დაიხია, იაპონელები თან გაჰყვნენ და რკინის გზას სადგურ იანტაის დაუახლოვდნენ; უნდოდათ, რკინის გზა დაეჭირათ და რუსებისათვის უკან დახევის ნება აღარ მიეცათ. გენ. ორლოვს გენ. შტაკელბერგი მიეშველა თავისის კორპუსით (20 ათას კაცით) და იაპონელები შეაყენა. ამავე დროს გენ. კუროპატკინი ოთხის კორპუსით (120 ათასი კაცით) გენ. კუროკის ჯარს დაეცა სიკვანტუნთან და საღამომდე წინა პოზიციები წაართვა. მაგრამ მალე გენ. კუროკის გენ. ნოძუ მიეშველა მთელის თავის არმიით (70 ათასი კაცით). ლიაოიანთან მარტო გენ. ოკუ დასტოვეს, მარშალი ნოძუ-კი თავის არმიით 20 ავგისტოს გაჩქარებით ტაიძიხეს გაღმა გავიდა და დაღამებამდე გენ. კუროკის არმიას შეუერთდა. გენ. ნოძუს არმიას ერთ დღეს 30 ვერსი გაევლო. იმავ ღამეს გენ. ნოძუ და კუროკი სიკვანტუნთან გენ. კუროპატკინს დაეცნენ, პოზიციები წაართვეს და ამით ლიაოიანის ბედი გადასწყვიტეს. რუსის ჯარმა ლიაოიანი მიატოვა და ჩრდილოეთისაკენ დაიხია.

ლიაოიანთან მეტად დიდი სისხლის ღვრა მოხდა; ამისთანა დიდი სისხლის ღვრა ბევრი არა ყოფილა ისტორიაში. 16 ავგისტოდან 19-მდე რუსის ჯარს, როგორც კერძო დეპეშები იუწყებიან, 10 ათასი კაცი დააკლდა მოკლული და დაჭრილი; იაპონელებსაც ამდენივე ზარალი მოჰსვლიათ. ამას რომ 11—1[...] ავგისტოს ბრძოლის ზარალიც მივუმატოთ გამოვა, რომ ორსავე მხარეს (რუსებსა და იაპონელებს) 14 ათასი კაცი დაჰკლებიათ თითოს. 20 ავგისტოს რუსის ჯარს 4 ათას კაცამდე დააკლდა, 21 ავგისტოს სულ მცირედ ერთი ორად მეტი დააკლდებოდა, რადგან იმ დღეს რუსის ჯარი უკან იხევდა. ასე რომ რუსის ჯარს 21 ავგისტოს საღამომდე სულ 26 ათას კაცამდე დააკლდებოდა. იაპონელებს 21 ავგისტოს საღამომდე სულ 23 ათასი კაცი დაჰკლებიათ (გენ. ოკუს არმიას—11 ათასი, კუროკის არმიას—$7^1/_2$ ათასი, ნოძუს არმიას—$4^1/_2$ ათასი), მაგრამ ეს ზარალი ხელ-და-ხელ, საჩქაროთაა ნაანგარიშევი; იქნება ბოლოს მეტიც გამოვიდეს და ორსავე არმიის ზარალი 60 ათას კაცამდე ავიდეს; ასე რომ ლიაოიანთან მეტი სისხლი დაღვრილა, ვიდრე სედანთანა და კენიგრეცთან. იქნება ლეიპციგისა და ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ ასეთი დიდი სისხლის ღვრა ჯერ არ მომხდარიყოს.

რასაკვირველია, ასეთი დიდი ზარალი ორივე არმიას დაასუსტებდა. იქნება ბრძოლისაგან დაქანცული და დაზარალებული იაპონიის ჯარი რუსის ჯარს ვეღარც-კი დაედევნოს და გენ. კუროპატკინის ჯარმა მუკდენში არხეინად შეისვენოს, მაგრამ თუ საქმე სხვანაირად წავიდა და მარშალი ოიამა მხნედ გამოეკიდა რუსის [...], მაშინ შეიძლება კუროკისა და ნოძუს არმიებმა მუკდენისაკენ გაილაშქრონ [...]მთა, ოკუს არმია-კი ფეხ-და-ფეხ მიჰყვეს

ფელეტონი

იაპონია და იაპონელნი

მრეწველობის განვითარება და მშრომელთა ორგანიზაცია.

(დასასრული *)

მუშათა სინდიკატი იაპონიაში გაჩნდა მხოლოდ 1889 წელს. ამ დროს დაარსდა რკინის მკეთებელთა სინდიკატი, რომელსაც აზრად „შრომასა და კაპიტალის ჰარმონია“ ჰქონდა. ეს სინდიკატი პირველი საზოგადოება იყო, მარტო მუშებისაგან შემდგარი, დამაარსებელთ პირველ ხანს უნდოდათ 20,000 მანეთი შეეკრიბათ და ამ ფულით კოოპერატიული სახელოსნო გემართათ. მეორე წელს დაარსდა ასოთ ამწყობთა სინდიკატი. სინდიკატები ერთის ბურჟუასი და ერთის პოლიტიკოსის თანაგრძნობით დაარსდა. როგორც პირველ სინდიკატის სახელიდანა სჩანს, ამათ აზრად ჰქონდათ „საზოგადოებრივი მშვიდობიანობა“, „კაპიტალისა და შრომის შერიგება“. სულ სხვა გზას დაადგა 1897 წლის დაარსებული „მუშათა ძმური კავშირი“. უმთავრესი მიზანი ამ კავშირისაც კოოპერატიული წარმოება იყო, მაგრამ პირველ დღიდანვე იგი ანტაგონიზმის ნიადაგზე დადგა და კაპიტალისა და შრომის შერიგებაზე სულაც არ ამოუღია ხმა. სწორედ ამ ხნიდან, ე. ი. 1897 წლიდან, იწყება მუშათა ნამდვილი მოძრაობა. კატაიამას და სხვათა მეცადინეობით, „მუშათა ძმურ კავშირს“ წევრთა რიცხვი ორი წლის შემდეგ, 1899 წელს, 5,700 კაცამდე ავიდა.

ამავე ხანებში შესდგა მეორე კავშირი რკინის მკეთებლებისა. საწევრო შესატანი ამ კავშირში 30 სენია, *) თვეში კი გადასახადი 20 სენი. შესულ ფულის ერთ მეოთხედი ხმარდება ადგილობრივ [...], სამი მეოთხედი ეგზავნება ცენტრალურ კასსას. თუ ვინიცობაა, შეტაკება მოხდა [...] პატრონთა შორის, გაფიცვამდე [...] თრიკება უნდა სცადონ ჯერ ადგილობრ[...]მა განყოფილებამ, შემდეგ ცენტრალურმა ორგანიზაციამ. ეს ორი კავშირი (რკინის მკეთებელთა და მუშათა ძმობის) ერთმანეთთან ძალიან დაახლოვებულია და მუშათა ძმობის მდივანს უფლება აქვს რკინის მკეთებელთა საბჭოს კრებაზე დაესწროს და ხმა იქონიოს. რკინის მკეთებელთა საზოგადოებამ სცადა მოეწყო თავის წევრთა დაზღვევა ცეცხლისა, ავადმყოფობისა და სხვა უბედურ შემთხვევებისაგან, მაგრამ ეს საქმე ძალიან ძნელი აღმოჩნდა და შემდეგისთვის გადასდეს. კაპიტალისტებმა ამ ორგანიზაციას ძალიან ეჭვის თვალით შეხედეს და პოლიციის დახმარებით ბრძოლაც კი დაუწყეს, განსაკუთრებით იმ ცხარე მანიფესტაციების შემდეგ, რომელიც კავშირმა გამართა. ამ ჟამად ამ კავშირს 57 განყოფილება აქვს და 3,000 წევრი ჰყავს.

ყველაზე უფრო ძლიერი იაპონელ მუშათა ასოციაციებს შორის „ნიპონის რკინის გზის მექანიკოსთა ასოციაციაა“, დაარსებული 1898 წელს უმთავრესად კატაიამას მეცადინეობით. ამ საზოგადოებაში ირიცხება ტოკიო აომორის რკინის გზის ყველა მექანიკოსი და კაჩეგარი. 1900 წელს ასოციაციამ ბრძოლა დაუწყო რკინის გზის ამხანაგობას, რომელმაც ყველგან განაცხადებანი გააკრა, —უკრძალავთ მოსამსახურეებს სინდიკატებში შესვლასაო, და ამასთან დაითხოვა ათი მექანიკოსი, ათივე ასოციაციის ცენტრალურ საბჭოს წევრი. ასოციაციას დიდი ფონდი ჰქონდა და ამიტომ მთავარმა საბჭომ ტოკიოდან დეპეშით აცნობა 450 მექანიკოსს და კაჩეგარს, მუშაობაზე ხელი აეღოთ. ამათ შემდეგ სხვა წევრნიც უნდა გაფიცულიყვნენ, მაგრამ ეს საჭირო აღარ იყო, რადგან ხუთი დღის შემდეგ რკინის გზას ამხანაგობამ დაუთმო. ამხანაგობამ დაასწესა რვა საათის მუშაობა დღეში, მოუმატა სამუშაო ფასს და ათ დათხოვნილ კაციდან რვა უკან მიიღო. ერთი წლის წინად ასოციაციის კასაში 60 ათასი მანეთი იყო.

ამ გამარჯვებამ მშრომელნი ძალიან აავფრთოვანა და ყველას გაუღვიძა სურვილი კავშირების შექმნისა. ამაზე ადრე, 1899 წელს, დაარსდა ტრამვაების კუჩრებისა და კონდუქტორების სინდიკატები. მალე ბამბის საქსოვ ქარხნებში მუშა ქალებს შორისაც დაიწყო მოძრაობა. პირველ ხანს მთავრ[...] წინააღუდგა ამ მოძრაობას და კანონ[...] გამოსცა, რომლის ძალითაც „წეს რიგისა და მშვიდობიანობის“ დამრღვევნი, სულ ერთია მუშები იქნებოდნენ თუ ქარხნის პატრონნი, უნდა დასჯილიყვნენ 1-დან 6 თვემდე დაპატიმრებით.

ამავე დროს მთავრობამ და პარლამენტმა გამოსცეს მეორე კანონი, რომელიც დიდ მფარველობას უწევს კოოპერატიულ მოძრაობას. ეს კანონი ხელს უწყობს განსაკუთრებით ურთ-ერთ დამხმარებელ, საკრედიტო, მომხმარებელ და მწარმოებელ საზოგადოებებს. ეკეტენის ანგარიშით, ორ-სამ წელში 486 ასეთი საზოგადოება დაარსდა. აქედან იყო:

საკრედიტო საზოგადოება	. . .	314
მომხმარებელი	„ . . .	38
სავაჭრო	„ . . .	72
წარმოებისა	„ . . .	10
სხვა-და-სხვა	„ . . .	52

პირველ ხანს მშრომელთა მოძრაობამ და ორგანიზაციამ ჩრდილოეთ პროვინციებში იჩინა თავი, მაგრამ მალე სამრეწველო ცენტრში, ოსაკაშიაც გადავიდა, ხოლო იქიდან—ნიპონის სამხრეთით და კიუ-სიუში. კატაიამა და იმისი მეგობრები გულმოდგინეთ განაგრძობდნენ ცრობაგანდას. ამათ საყოველთაო უფლების სასარგებლოდაც აღძრეს მოძრაობა, რამაც დიდად საზოგადოების თანაგრძნობა მოიპოვა. კატაიამამ, ღასალის თაყვანის მცემელმა და სოციალ მხნეობის კაცმა, მალე დააინტერესა ტოკიოს ზოგიერთი დიდი გაზეთი. ზემოხსენებულ „იოროზო“-ს გარდა მოძრაობას მხარი დაუჭირა დიდმა და ძალიან გავრცელებულმა გაზეთმა „მაინიჩი შიმბუნ“-მა. ამ გაზეთის ერთი რედაქტორი „სოციალისტთა საზოგადოების“ წევრი იყო და თავის წერილებში ხშირად უცხადებდა თანაგრძნობას ამ საზოგადოების მოძღვრებას.

1898 წელს კატაიამამ ტოკიოში დაარსა საკუთარი გაზეთი „მუშათა ქვეყანა“. გაზეთი ორკვირეული იყო და გამოდიოდა 6—8 ფურცლად იაპონურსა და ინგლისურს ენებზე. ინგლისურ ენაზე გამოცემას ორნაირი აზრი ჰქონდა: ერთი—სხვა ქვეყნის სოციალისტებს შეეძლოთ თვალყური ედევნებინათ იაპონელ მშრომელთა მოძრაობისთვის, და მეორე—ევროპიელ წერილებისთვის მ[...] ვერ გაბედავდნენ [...] უცხო ენებზე წერა იაპონიაში არაფრით არ არის შეზღუდული. გაზეთთან ერთად კატაიამამ მოუხშირა დიდის ყრილობების მართვას გარედ, ცის ქვეშ. საზოგადოება ძალიან ავსებდა იმ ყრილობებსა და მიტინგებს, რომლებშიაც მონაწილეობას იღებდნენ მეცნიერების წარმომადგენელნი და უნივერსიტეტის პროფესორები.

1900 წელს გადასწყდა დაარსება მუდმივ პოლიტიკურ ორგანიზაციისა და 1901 წელს 19 მაისს შესდგა კიდეც სოციალ-დემოკრატიული დასი—შაკაი მინშუტო. დასის პროგრამა და პრინციპები წაიკითხეს ტოკიოში გამართულ დიდ მიტინგზე და შემდეგ დაბეჭდეს „მუშათა ქვეყანა“-ში. „ამ ჟამად—ნათქვამი იყო გაზეთში—პოლიტიკური ძალა ხელთა აქვთ მდიდარ მიწათმფლობელებს და მრეწველ კაპიტალისტებს. ჩვენი მუშები ამათ ხელში იარაღად არიან გადაქცეულნი. ჩვენი დასი დაარსდა მუშათა ინტერესების დასაცველად და ეკონომიურ უთანასწორობის მოსპობით მშვიდობიანობის დასამყარებლად“. უმთავრესი მუხლები პროგრამისა: მიწის, თანხის და გზების საერთო საკუთრებად გადაქცევა, სიმდიდრის თანასწორად განაწილება, პოლიტიკური თანასწორობა და წოდებათა მოსპობა, სწავლა-განათლების საერთო და საყოველთაო ორგანიზაცია და სხვა. აღნიშნული იყო აგრეთვე მინიმალური მოთხოვნილებანი ახალ დასისა. მოგიხსენებთ ორიოდეს: ნაციონალიზაცია რკინის გზებისა, მუნიციპალიზაცია გაზისა და ტრამვაებისა, აკრძალვა საერთო მიწა-წყლის გაყიდვისა, დანიშვნა მაქსიმალურ ფასისა ბინების დასაქირავებლად, ბაჟის მოსპობა უსაჭიროესს სურსათზე, აკრძალვა ბავშვთა მუშაობისა 16 წლამდე, დედაკაცების მუშაობისა ცუდ სადგომებში, ღამის მუშაობისა ქალებისა და ბავშვებისათვის, რვა საათის სამუშაო დღე, საყოველთაო ხმის უფლება არჩევნების დროს, სიკვდილით სასჯელის გაუქმება, აბსოლიუტური თავისუფლება პრესსისა და სხვა.

ამ მოთხოვნილებებმა ერთი აღიაქოთი ასტეხეს მთავრობის წრეებში. მინისტრ-პრეზიდენტმა კაცურამ ბრძანება გასცა, შეეჩერებინათ 20 მაისის [...] „მუშათა ქვეყანა“-სი და ორიოდე სხვა [...]

---

*) ამ. „ცნ. ფურც.“ № 2595.

*) ჩვენი 2 კაპეიკია.

რუსის ჯარს. თუ გენ. კუროპატკინი მუკდენში როგორმე კუროკიზე ადრე მივა, თავს უშველის და იაპონელებს ხელიდან გაუსხლტებათ. შეიძლება ისეც მოხდეს, რომ გენ. კუროკიმ მარტოკამ გაილაშქროს მუკდენისაკენ, გენერალი ოკუ და ნოძუ კი რუსის ჯარს აჰყვნენ, რკინის გზას მოაშორონ და მდინარე ხუნხესაკენ დააწევინონ. ყველაზე საშიში ისაა რუსის ჯარისთვის, რომ უკან დახევის დროს, ყველგან გზაზე იაპონელების წინ უნდა გაიაროს; ამას გარდა, გენ. კუროკის ჯარი 20 ვერსით ახლოა მუკდენზე, ვიდრე რუსის ჯარი; ასე რომ იაპონელებს ადვილად შეუძლიანთ რუსის უკანა რაზმებს წრე შემოავლონ და უმთავრეს ჯარს მოსწყვიტონ. ვნახოთ, როგორ წავა საქმე“.

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ: გენ. კუროკი 20 და 21 აგვისტოს მედგრად ებრძოდა ორს რუსის კორპუსს, უნდოდა რკინის გზა ხელში ჩაეგდო და რუსის არმიისათვის გზა მოეჭრა. გენ. კუროპატკინმა ბოლოს მთელი თავისი ჯარი მარცხენა ფრთაზე გადაიყვანა და გენ. კუროკის წინააღმდეგ დააყენა. 20 აგვისტოს აქეთ რუსის მთავარ-სარდალი თითონ უწევდა ხელმძღვანელობას თავის ჯარს. ყველაზე მედგარი და გამწვავებული ბრძოლა მენმისანგსა და სუშანტანის შუა მოხდა, იქ, სადაც იაპონიის შუა ჯარი იბრძოდა. რუსებს ამ ადგილას მაშველი ჯარი მოუვიდათ და დიდის მამაცობით იცავდნენ თავიანთ პოზიციებს; ბევრჯელ მტრის მოგერებასაც არ დასჯერდნენ და თითონაც იერიში მიიტანეს იაპონელებზე. იაპონელებმა თითქმის ყველა მხრიდან წრე შემოავლეს რუსის ჯარს, ლიაოიანის ჩრდილოეთით მაღლად 20 ვერსის სიგანე ადგილი-ღა დარჩა თავისუფალი, სადაც რუსებს მუკდენისაკენ დახევა შეეძლოთ; ამბობენ, გენ. კუროპატკინმა უთხრა თავის შტაბს: მტრის ჯარის წრე უსათუოდ უნდა გავარღვიოთ და როგორმე მუკდენს მივაღწიოთ, გინდ ამ საქმეს მთელის არმიის ნახევარიც მსხვერპლად შევწიროთო. („ნ. დ.“).

ლონდონში კერძო ცნობები მიიღეს, 21 აგვისტოს გენ. კუროპატკინის მთავარი სადგომი განხეში იმყოფებოდა, ლიაოიანიდან 20 ვერსტის მანძილზეო. 19 აგვისტოს იაპონელების არმიის მარცხენა ფრთამ (გენ. ოკუმ) მეტად მედგარი იერიში მიიტანა რუსის ჯარზე; 17 და 18 აგვისტოს რუსებმა იაპონელების იერიში ყველგან მოიგერიეს; 19 აგვისტოს იაპონელებმა, გაჯავრებულებმა, კიდევ მედგარი იერიში მიიტანეს რუსის პოზიციებზე და ნოძუმ და ოკუმ რუსის სამხრეთის რაზმს (გენ. ზარუბაევის კორპუსს) ლიაოიანისაკენ დაახევინეს; ამავე დროს გენ. კუროკი მდინარე ტაიძიხეში გავიდა და რკინის გზის დასაჭერად გაექანა. რუსის ჯარს ლიაოიანში გამაგრება აღარ შეეძლო; გენ. კუროპატკინმა მაშინვე მიატოვა ლიაოიანი, თორემ იაპონელები ყველა მხრიდან წრეს შემოავლებდნენ. რუსის მთავარ-სარდალმა ჯარი ტაიძიხეს გაღმა გაიყვანა და 20 და 21 აგვისტოს მარტო იმისათვის იბრძოდა, რომ როგორმე მუკდენისაკენ გზა გაეკაფა. გერმანიის სამხედრო წრეებს იმედი აქვთ, გენ. კუროპატკინი მოახერხებს როგორმე და თავის არმიის მომეტებულ ნაწილს მუკდენს მიიყვანსო, თუმცა კი მუკდენისაკენ მხოლოდ ერთის გზით შეიძლება წასვლა, იაპონელები თან აჰყვებიან და დიდ ზარალს მისცემენ რუსის ჯარსაო. ბერლინში ირწმუნებიან, ამ 10 დღეს მუკდენში ორი კორპუსი ჯარი უნდა ჩაუვიდეთ რუსებსაო. („რ. ვ.“).

20 აგვისტოს ლიაოიანს ცეცხლი წაეკიდა იაპონელების ყუმბარებისაგან. ლიაოიანის რკინის გზის სადგური სულ დაიწვა. ამბობენ, ლიაოიანის სიმაგრეებთან, ბრძოლაში ყველაზე მეტ მონაწილეობას გენ. ოკუს ჯარი იღებდაო. („რ. ს.“).

ომის ამბები. „კენიგ. ჰარტუნ. ცაიტუნგ“-ი იუწყება: იაპონელების მხვერავ რაზმებს ყველას გამოცდილი ტელეფონისტი ჰყავს თანა. ტელეფონისტს პატარა მილი მიაქვს; მილს ტელეფონის წვრილი მავთული აქვს დახვეული. სიარულის დროს მავთულს მიწაზე მიათრევენ. მილი ტელეფონს წარმოადგენს. როცა მხვერავ რაზმს უმთავრეს რაზმთან ლაპარაკი სწადიან, დედამიწაში შტოკს ჰსობენ, შტოკის ბოლოზე ტელეფონს ამაგრებენ. ტელეფონისტს რანეცში ბატარეია აქვს, რამდენსამე წამში ნამდვილ ტელეფონს ჰმართავს და მხვერავი რაზმი უფროსს გენერალს ელაპარაკება: მოხსენებას აძლევს და ბძანებას იღებს; სხვა მხვერავ რაზმებსაც ელაპარაკება, იმათ ამბავს იგებს და თავისას ატყობინებს. ესეთ ტელეფონს რაღაც საიდუმლო მანქანა ამოქმედებს; მტერმა რომ ხელში ჩაიგდოს, ვერაფერში ვერ გამოიყენებს. („რ.“).

ომში

მოკლულნი, დაჭრილნი და ტყვედ წაყვანილნი

მთავარ შტაბის განსაკუთრებული განყოფილება აცხადებს ომში მოკლულთა, დაჭრილთა და ტყვედ წაყვანილთა სიას:

18 აგვისტოს დაიჭრნენ: გენერალ-ლეიტენანტი ბარონი შტაკელბერგი (ჯარშივე დარჩა), გენერალ-მაიორი მროზოვსკი და კაპიტანი ოკინიცკი.

როგორც ეხლა გამოირკვა, მაცუიამაში (იაპონიაში) ტყვედ არიან: კაპიტანი კობრანოვი, პორუჩიკი ვოკკი, პოდპორუჩიკი დორონინი და ექიმი პოპოვიჩი.

შორეულ აღმოსავლეთის ნამესტნიკისაგან მიღებულ ცნობებით, 9 აგვისტოს პორტ-არტურთან მოკლულ იქმნენ: მეორე რანგის კაპიტანი ლებედევი, ლეიტენანტები ხელგეიმი და ბუდზკო და მიჩმანი ვილჰელმსი.

ახალი ამბავი

✦ გუშინ-წინ სხდომა ჰქონდა იმ კომისიას, რომელსაც ვაკეს შემოერთების საქმე აქვს მინდობილი. კომისიამ თავმჯდომარედ აირჩია თავ. გ. ი. თუმანოვი, ხოლო გუშინ კომისიამ ვაკე დაათვალიერა. მეორედ დათვალიერების დროს სექტემბრის პირველ რიცხვებში მოიწვევს სათავად-აზნაურო სკოლისა, კადეტის კორპუსისა და სემინარიის წარმომადგენლებს და აგრეთვე ადგილობრივ მცხოვრებთ მოსალაპარაკებლად და იმის გასაგებად მცხოვრებნი რას გაიღებენ ვაკეს მოსაწესრიგებლად.

✦ გზათა სამინისტროს დაუმტკიცებია ხარჯთ-აღრიცხვა **ბორჯომში ახალ-სადგურის აგების შესახებ.** ბორჯომის ეხლანდელი სადგური უქმდება. ახალი სადგური შიგ ბორჯომის ალაგას იქნება, სადაც ეხლა ლიანდაგი ... ებით ხის ფარდულია. შენობის აგებას ამ შემოდგომითვე დაიწყებენ.

✦ როგორც ამას წინადაც ვწერდით, ტფილისის საგუბერნიო **სამხედრო ბეგ**რის საკრებულოსთან [illegible] ახალი წევრის თანამდებობა, რომელიც იმავე დროს ამ საკრებულოს საქმის მწარმოებელიც უნდა იყოს. ამ თანამდებობის აღმასრულებლად ინიშნება ეხლანდელი საქმის მწარმოებელი ბ-ნი სპეგალსკი.

✦ როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, გორის მაზრის სოფელ ხცისში ადგილობრივ მდიდარ მემამულეს **თავად თომა ციციშვილს მოუკლავს თავისი ცოლი.** მკვლელობის ამბავი თითონვე განუცხადებია პოლიციისთვის. მიზეზი მკვლელობისა ჯერ არ იციან.

✦ როგორც „ნ. ობ.“-ს ბათუმიდან ატყობინებენ, 25 აგვისტოს, ღამე, განუზრახავად **მანთაშოვის ქარხნის გამგის მოკვლა.** გამგე არუთინოვი მხოლოდ მსუბუქად დაუჭრიათ კისერში.

✦ **წინამძღვრიანთ კარის სახოფლო-სამეურნეო სკოლაში** პირველ სექტემბრიდან დაიწყება მოსწავლეთა მიღება. სკოლის მეორე განყოფილებაში ოთხი ვაკანსიაა, მესამეში—სამი, მეოთხეში—ხუთი და მეხუთეში (სპეციალურია)—ცალა ათი. სწავლება უსასყიდლოა.

✦ ამას წინად ტფილისის ქალაქის გამგეობამ, თავის წევრის ნ. ზ. კოჯზაევის მოხსენების თანახმად, დაადგინა, 10 დღის ვადა მისცეს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის აგენტებს ტრაქტირების შესახებ საჭირო ცნობების წარსადგენად. 25 აგვისტოს კოჯზაევმა აცნობა გამგეობას, რომ მიუხედავად რამდენიმე გზის მოთხოვნილებისა, აგენტებმა საჭირო ცნობები წარმოადგინეს მხოლოდ 19 აგვისტოსათვის, ამასთან ექვსმა აგენტმა იმდენად ცუდად შედგენილი ცნობები წარმოადგინა, რომ სრულიად გამოუსადეგარია. გამგეობამ სხეში მიიღო ის გარემოება, რომ 15 სექტემბრამდე უნდა წარედგინოს ქალაქის საბჭოს მოხსენება ტრაქტირებზე გადასახადის გაწერის შესახებ და გადასწყვიტა, დაავალოს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის უფროს აგენტს, ორის დღის განმავლობაში წარედგინოს საჭირო ცნობები. ცნობების შესაკრებად საჭირო ... გამოერიცხოს ჯამაგირებიდან იმ ზომით აღნიშნულ აგენტებს, რომელთაც დროზედ საჭირო ცნობები არ წარუდგინეს გამგეობას.

✦ ტფილისის „კრუჟოკის“ მამასახლისთა საბჭომ 35 მან. დააჯარიმა „კრუჟოკის“ ბუფეტის

იერ დაბეჭდილა, და ამ გაზეთების წინააღმდეგ საჩივარიც აღძრა „წეს-რიგისა და მშვიდობიანობის დარღვევისათვის“. ეს ამბავი მთელ იაპონიის სალაპარაკოდ გადაიქცა. ოფიციალური გაზეთები სწერდნენ: „შეიძლება ბევრს ძალიან სასტიკად ეჩვენოს მთავრობის საქციელი ახალ დასის მიმართ, რადგან ამ დასს მშვიდობიანი და ლეგალური ხასიათი აქვს, მაგრამ, დაკვირვების შემდეგ, ყველა ადვილად მიჰხვდება, რომ დასის პრინციპები ეწინააღმდეგება ჩვენის კონსტიტუციის საფუძვლებსაო“. სამაგიეროდ, არა ოფიციალურ პრესის დიდმა უმრავლესობამ პროტესტი გამოსცა ასეთ თვით-ნებობის წინააღმდეგ და აღნიშნა სამინისტროს უკანონო მოქმედება, რადგან კონსტიტუცია უზრუნველ ჰყოფს იაპონელ მოქალაქისთვის ლაპარაკისა, წერისა, კრებებისა და ასოციაციების თავისუფლებას.

მინისტრ-პრეზიდენტმა საჩივარი კატაიამასა და ორს გაზეთის წინააღმდეგ შეიტანა იმავე წლის (1901) 26 ივნისს ქალაქის სასამართლოში, მაგრამ მოსამართლემ არავითარი ყურადღება არ მიაქცია მომჩივნის ვინაობას და ბრალდებულნი ყველანი გაამართლა. საქმე სააპელაციო სასამართლოში გადავიდა, მაგრამ ამ სასამართლომაც „დამნაშავეებს“ გადაუწყვიტა მხოლოდ ჯარიმის გადახდა ერთ თუმნიდან სამ თუმნამდე თითოს.

პროპაგანდა არ შეჩერებულა, ყველაზე მეტად ამ ხანებში მეცადინეობდნენ საყოველთაო ხმის უფლებისთვის. გამართა ორი დიდი მიტინგი, ერთი 1901 წლის 31 აგვისტოს ოზიიში, სადაც ნიპონის ამხანაგობის სახელოსნოებია, ხოლო მეორე—28 სექტემბერს იოკოჰამაში ორი ათას მუშის თანადასწრებით. ამ მიტინგებზე დიდ ხანს და ცხარედ ილაპარაკეს კატაიამამ, იმისმა მეგობარმა—ნიშიკავამ, „იოროზუ“-ს რედაქტორმა—კოტოკუმ, „მენიში“-ს რედაქტორმა—კინოშიტამ, კიტაგავამ და სხვებმა. ამავე ხანებში კატაიამამ და იმისმა თანამოაზრეებმა დააარსეს ტოკიოში სახალხო უნივერსიტეტი. სხვა-და-სხვა საშუალოდ უმაღლეს კურსებს გარდა, ამ სახალხო უნივერსიტეტში არსებობს საბავშვო ბაღი მუშათა ბავშვებისათვის, კვირა სკოლა ქალთა და ქალთათვის სა[illegible] ... ნით, რომ კატაიამა დიდი მომხრეა ქალთა ემანსიპაციისა, ამიტომ ეს დაუღალავი და ნიჭიერი კაცი ბევრსა სცდილობს იაპონელ ქალთა თავისუფლებისა და განათლებისათვისაც.

1902 წელს კატაიამამ, ნიშიკავამ და ახალმა მომხრემ მიამოტომ მოიარეს პროპაგანდისთვის მთელი ჩრდილოეთი იაპონია. მგზავრობის დროს დარწმუნდნენ, რომ ბევრი მომხრე და თანამგრძნობი ჰყოლიათ და აქა-იქ ჯგუფებიც-კი შემდგარა. ამავე 1902 წელს ერთმა გარემოებამ ძალიან შეუწყო ხელი დასის განმტკიცებას. დასს შეუერთდა ერთი დიდად გავლენიანი სამოღვაწეო მოღვაწე და ცნობილი ლიტერატორი ფუმაა იანო, პეკინში ელჩად ნამყოფი. იანომ გამოსცა წიგნი ამ სათაურით — „ახალი საზოგადოება“. წიგნში აწერილია, „კაპიტალის“ თანახმად, ეკონომიური ევოლუცია; შემდეგ ავტორი მოგვითხრობს ორ იაპონელ ბურჟუას —მრეწველისა და ეკონომისტის—სიზმარს. ეს ვაჭატონები სიზმარში მომავალ კოლექტივისტთა საზოგადოებაში მოჰყვნენ და დარწმუნდნენ სოციალიზმის უპირატესობას. ამ წიგნს მთელს იაპონიაში არა ჩვეულებრივი გასავალი ჰქონდა.

1902—1903 წლ. ზამთარში ძალიან განყოთარდნენ და გაძლიერდნენ უკვე არსებული კავშირები და ასოციაციები. „ტოკიოს ნავთსაშენებლთა ხურობების კავშირი“ ისე გამაგრდა, რომ გადღებული გახდა პატრონნი მარტო კავშირის წევრნი მიეღო. „ასოთ-ამწყობთა კავშირში“ ამ დროს უკვე 2,000 წევრი ითვლებოდა. ბევრგან შესდგა ლოკების მომუშავეთა კავშირები. აზაკაგაში გაფიცვის დროს პირველად გაიმარჯვეს ქალებმა, ბამბის მქსოვ ქარხნების მუშებმა.

1903 წლის პირველ იანვრიდან „მუშათა ქვეყანა“-ს კატაიამამ სახელი გამოუცვალა და „სოციალისტი“ დაარქვა. ამ შემთხვევის გამო პირველ ნომერში დაიბეჭდა სურათები [illegible], ტისა, ზინგერისა, ბებელისა, ჰინდმანისა, ჟორესისა და გესდისა. ამ 1903 წლის ოქტომბრიდან კატაიამას მეგობარი და თანამშრომელი ნიშიკავა მონაწილეობას იღებს დიდ უფლად დღიურ გაზეთის „იოროზუ“-ში, სადაც იგი აბე უკვე ჰბეჭდავდა სოციალურ მოძღვრების მეცნიერულ განმარტებებს.

1903 წლის 5 და 6 აპრილს მოხდა პირველი კონგრესი იაპონელ სოციალისტთა. კონგრესი გაიმართა ქალაქ ოსაკას, სადაც იმ დროს სრულიად იაპონიის სამრეწველო გამოფენა იყო. ამ კონგრესზე მრავალი საყურადღებო მოხსენება წაიკითხეს წევრებმა. სხვათა შორის, „იოროზუ“-ს რედაქტორმა კოტოკუმ განმარტა „მოძრაობის საფუძვლები“, იზო აბემ გაარჩია კრიტიკულად „კაპიტალისტური სისტემა“, კატაიამამ ილაპარაკა „მომავალ დროის დასის შესახებ“, კინოშიტამ წაიკითხა „სოციალურ იდეის ისტორიული განვითარება იაპონიაში“ და მრავალი სხვა. ეს პირველ დღეს. მეორე დღეს იზო აბემ ილაპარაკა „მშრომელთა ასოციაციების წარსულსა და მომავალზე“, კინოშიტამ—„სოციალიზმის იურიდიულ კონცეპციაზე“, კატაიამ —„წინსვლაზე“, მაკუმ —„მეცნიერებასა და სოციალიზმის პრინციპებზე“ და სხვა. ამ კონ[illegible] დაესწრო ავსტრიელი სოციალისტი [illegible] კონგრესმა შეიმუშავა მთელი პროგრამ[illegible] ნილებებისა. „იოროზუ“-სთან [illegible] ამ კონ[illegible] გრესის დაწვრილებითი ანგარ[illegible] [illegible] გ[illegible]ბით დაბეჭდა ერთმა [illegible]რმა გაზეთმა, რომელიც დღეში 150 [illegible] [illegible].

კონგრესის შემდე[illegible] და წევრების მიუხედავ[illegible] გაასამკეცეს შრომა. დიდ პროპაგანდას სწევდნენ განსაკუთრებით მუშათა [illegible] ნების სასარგებლოდ. ამავე დროს შებრძოლდნენ, რომელთაც ტოკიოსა და ოსაკას ბევრ გაზეთი უჭერდა მხარს, ორ საქმეში გაიმარჯვეს. ამ დრომდე თამბაქოს მონოპოლია მუხების გვარის ხელში იყო. კერძო პირების ხელში იყო აგრეთვე ტრამვაების მონოპოლია. მონოპოლისტები არ ერიდებოდნენ არც საზოგადოებისა და არც მოსამსახურეთა ექსპლოატაციას. აი, ამის წინააღმდეგ დაიწყეს ბრძოლა კატაიამამ თავის თანამოაზრეებით და მომხრეებით. ბრძოლამ მალე სამაგალითო [illegible]: მთავრობამ გადასწყვიტა თამბაქოს მონოპოლიის გამოსყიდვა და სახელმწიფო მონოპოლიად გადაქცევა, ხოლო ტრამვაების სამგზავრო ტარიფს ძალიან დაუკლო (35 სანტიმის ნაცვლად 7 სანტიმი *) დააწესა).

1903 წელსავე კატაიამამ, ნიშიკავამ და მატსუსკამ გააორკეცეს შრომა. ზედი-ზედ გამართეს მიტინგები მატსუიამასა, იმახურუსა და კურეში. შემდეგ კიუ-სიუს კუნძულებზე გადავიდნენ. მარტო ამ კუნძულებზე 22 მიტინგი გამართეს; თითოს ათას კაცზე ნაკლები არ ესწრებოდა. მართალია, პოლიცია ბევრ დაბრკოლებას უწევდა, მაგრამ მეთაურნი მაინც ახერხებდნენ საქმის გაკეთებას. სამხრეთ პროვინციების შემდეგ კატაიამა ჩრდილოეთისკენ წავიდა და რამდენიმე ახალი კავშირი დააარსა. სხვათა შორის, იუბარში, სამთო-მადნო მრეწველობის რაიონში, შესდგა მშრომელთა დიდი სინდიკატი. ერთი ადგილობრივი უფროსი ისე გაიტაცა ახალმა მოძღვრებამ, რომ გადასწყვიტა მთელ თავის სიცოცხლის შეწირვა მდიდამაღაროს მუშების ორგანიზაციებისთვის. იდეის ამ ახალმა მოციქულმა მიანება თავი ოჯახსა და სახლს და ამიის მდგომ-მაღაროში უბრალო მუ[illegible]: იმედი აქვს, ცოტა ხანში შეერთოს [illegible] და მოაწყოს იმათი საქმე.

[illegible] ჰფიქრობდნენ მეთაურნი [illegible] გამართვას საყოველთაო [illegible] სასარგებლოდ, მაგრამ მოულოდნელ[illegible] დაიწყო და საქმე გადადო. კატაიამა [illegible] გამოუვლენა: [illegible] შტატებში [illegible] და ვაშინგტონის, [illegible] და ტეხასის შტატებმა, სადაც დიდ-ძალი იაპონელი მუშაა, შეუდგა პროპაგანდას და დასის განყოფილებათა დაარსებას. იქ წასვლამდე კატაიამა აარჩიეს წარმომადგენლად სოციალისტთა საერთაშორისო კონგრესზე. ეს კონგრესი ამას წინად მოხდა ამსტერდამს; იგი პირველი იყო, რომელსაც მონგოლთა რასის წარმომადგენელი დაესწრო.

ი. ა—ძე

*) სანტიმი 1/8 კაპეიკა.

მოიჯარადრე, ამასთან დაადგინა, დაითხოვოს და იმის ნაცვლად სხვა მოიწვიოს.

✦ ამ სამი დღის წინად ტფილისის პირველ განყოფილების მომრიგებელმა მოსამართლემ განიხილა საჩივარი სასანიტარო კომისიისა „მოსკოვის ნომრების“ უსუფთაობის შესახებ. მოსამართლემ სასტუმროს პატრონი ხუნდაძე დამნაშავედ იცნო და გადაუწყვიტა პოლიციასთან ორი კვირით დაპატიმრება.

✦ სოფ. ახალგორის (დუშეთის მაზრა) საავადმყოფოს ექიმი ბ-ნი ბურჯანაძე დაინიშნა სოფ. მეჯვრისხევის (გორის მაზრა) საავადმყოფოს ექიმად, ხოლო ბურჯანაძის მაგიერ ახალგორში დაინიშნა ექიმი ელიოზიშვილი.

✦ 24 აგვისტოს, რიყეზე მიდიოდა ბორჩალოს მაზრის მცხოვრები კახრამან მინასაზოვი. მინასაზოვის წინ ერთს უცნობს დაუგდია ვითომდა ფულიანი ქისა, მეორე უკან წამოსწევია და უთქვამს, ეგ ფული მეც მერგება, წავიდეთ არსენალის გზაზე და გავიყოთო. როცა მინასაზოვი და უცნობი წასულან, მათ ქისის დამკარგავიც წამოსწევიათ და უთქვამს, ფული დავკარგე, თქვენ იპოვიდით და მომეცითო. მინასაზოვს ამოუღია ქისა და თავისი ფული 50 მან. უჩვენებია; ერთს უცნობს უტაცნია ხელი, ხოლო მეორე ვითომდა დასაჭერად უკან გამოსდევნებია და ორივენი მიმალულან. ქურდებს დაეძებენ.

✦ პოლიციის მე-5 ნაწილში, 26 აგვისტოს, აბგარ ათაბეგოვს, ხელობით ხუროს, ასატურ ტერ-ანაპოვის სახლში მუშაობის დროს მეორე სართულის ფანჯარაზე კიბე მიუდგამს. უცაბედად კიბე გადმობრუნებია ატაბეგოვს და მეორე სართულიდან ძირს ჩამოვარდნილა. დაშავებული მიხეილის სამკურნალოში გაგზავნეს.

✦ პოლიციის მე-4 ნაწილში, მირზოევის სახლში, გრიგოლ მიხ. ხუდადოვის მაღაზიას გაუფრთხილებლობისა გამო, 25 აგვისტოს, დილის 8 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა. ცეცხლის მქრობელმა რაზმმა ცეცხლი მალე ჩააქრო. მაღაზიის პატრონს დიდი ზარალი მოუვიდა.

✦ 26 აგვისტოს პუშკინის ქუჩაზე მცხოვრებმა კერნ ფრანკემ განუცხადა ბოქაულს, ჩემს ბინაზე გამოვფინე საბანი, რომელშიაც დამალული მქონდა 50 მან. თათრული და 11 მან. რუსული ფული, შინ არ ყოფნის დროს ვიღაც ქურდი მისულა და ფული მოუპარნიაო.

რუსეთის ქრონიკა

✦ ფინანსთა სამინისტრომ გამოაცხადა, რომ საჭიროდ სცნო დაუყოვნებლივ აქციონ ხაზინის შემოსავლად ყველა თანხები, რომელნიც 10 წლის განმავლობაში დეპოზიტებში იყვნენ. ეს ზომა სახელმწიფო ხაზინის თანხის გასაძლიერებლად რუსეთ-იაპონიის ომის საჭიროებით არის გამოწვეული.

✦ საქარხნო ინსპექციას შეუგროვებია ცნობები რუსეთის ქარხნებთან არსებულ სკოლების შესახებ. ამ ჟამად მთელ რუსეთში მხოლოდ 278 პირველ-დაწყებითი სკოლაა, სამი წლის კურსით, 218 ქარხანასთან. ამ სკოლებში 19 ათასი ბავშვი სწავლობს და სკოლების შესანახად იხარჯება ყოველ წელს 319 ათასი მანეთი. ყველაზე მეტი სკოლა მოსკოვის საქარხნო რაიონშია.

✦ ადმინისტრატიულ წრეებში ამ ჟამად შეუდგნენ განხილვას საკითხისას იმის შესახებ, რომ სახაზინო მიწებიაძლიონ გრძელვადიანი იჯარით მცირე მიწა-წყლის პატრონთ ან უადგილ-მამულოთ, იმის მიუხედავად, ეკუთვნიან ეს უკანასკნელნი სოფლის საზოგადოებათ, თუ მხოლოდ ჩაწერილნი არიან ამ საზოგადოებებში.

✦ „ნოვ. დნ.“-ს შეუტყვია, რომ ამ მოკლე ხანში მოსკოვსა და ნიჟნი-ნოვგოროდს შუა გაიმართება მდინარეებით მიმოსვლა საქონლის მზიდველ ორთქლ-მავალი გემებისა. 18 აგვისტოს გამოსულა ნიჟნი-ნოვგოროდიდან პირველი გემი 8 [illegible] საქონლით.

✦ რუსეთის ცნობილ [illegible] მაქსიმ გორკის მიმართა მოსკ[illegible] ცნობილ „სამხატვრო თეატრის“ [illegible] თხოვნით, მისცეს მათ დასადგმელად თავისი ახალი პიესა. გორკის უარი უთქვამს მათთვის: „ჩემის პიესით [illegible] ახლად უნდა შევამუშავოო“.

✦ ამ მოკლე ხანში სახელმწიფო საბჭო განიხილავს ხარჯთ-აღრიცხვის პროექტს მოსკოვის ირგვლივ რკინის გზის აშენების შესახებ. პროექტით ეს გზა 50 მილიონი მან. დაჯდება.

✦ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, ტომსკში არსებული საბეითალო [illegible] სასწავლებელი მომავალ წლის ომსკში გადააქვთ.

ომის დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 აგვისტო

ლონდონი, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). გენერალ კუროკის მთავარი სადგომი. საშინელმა საარტილერიო ბრძოლამ ლიაოიანთან 17 აგვისტოს გასტანა გათენებიდან დაღამებამდე. ეს ბრძოლა უსაშინელესია ისტორიის მატიანეში. იაპონიის შეერთებულმა ჯარმა, კუროკის არმიის ნაწილის გარდა, მთავარ ბატარეებიდან ყუმბარები დაუშინა კუროპატკინის ჯარს. 12 საათის განმავლობაში რამდენიმე ასი ზარბაზანი სეტყვასავით ისროდა ყუმბარებს. ბრძოლა არ შეწყვეტილა ღამეც-კი, ელვა-ქუხილისა და საშინელ წვიმის მიუხედავად. რუსის ყუმბარები ქედებზე სკდებოდა, იაპონელების წინ. რუსების ბატარეები ნალის მსგავსად იყო მოთავსებული ლიაოიანის სამხრეთ-აღმოსავლეთით; სხვა ბატარეები ლიაოიანიდან 5 ვერსის მანძილზე იყო. რამდენიმე ბატარეია ცალკე იყო დასავლეთით გორაკებთან, რომლის მახლობლადაც რუსის ჯარის მარჯვენა ფრთე იდგა. რკინის გზისა და უკან მყოფ ჯარის დასაცველად ბატარეები მოთავსებული იყო სხვა გორაკებზე, ქალაქს უკან მდინარის აღმოსავლეთ ნაპირის პირდაპირ. იაპონიის არტილერია 20 მილის მანძილზე იყო გაჭიმული ზოგგან ადგილ-მდებარეობის გამო კაცი ძნელად გამოარკვევდა როგორ იყო დარაზმული ჯარი. რუსის ბატარეები ისე მოეთავსებინათ, რომ ორი-სამი ბატარეია ერთიერთმანეთზე იყო. კარგად ამორჩეულ რუსის პოზიციების გაგება მტერს შეეძლო მხოლოდ მაშინ, როცა ამ პოზიციებიდან ზარბაზნებს გაისროდნენ ხოლმე; ამ დროს გაიელვებდა და კომლი-კი არ იყო. იაპონიის პოზიციების თავზე პატარა თეთრი ღრუბლები იყო; ეს ღრუბლები ჩნდებოდა ყუმბარების აფეთქების დროს. ხან და ხან ორი-სამი ბატარეია მთელის დღის განმავლობაში ერთად ისროდნენ. არც ერთ ჯარში ცვლილება არა მომხდარა-რა. ყოველს საათს ლიაოიანის სადგურიდან მატარებლები რაც-კი შეეძლოთ, სწრაფად მიდიოდნენ ჩრდილოეთისაკენ.

ტიანძინი, 27 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ყაჩაღობა და ძალმომრეობა გახშირდა და მოსალოდნელია, რომ რკინის გზის გაყოლებით ოლქებსაც მიაღწევს. ტიანძინში მყოფნი ინგლისის ქვეშევრდომნი სჩივიან, რომ საფრანგეთისა და გერმანიის კონსულები ნებას აძლევენ ყოველგვარი სურსათი გზავნონ ნიუ-ჩუანში. ინგლისის კონსული-კი ნებას არ აძლევს და აცხადებს, ეს ნეიტრალიტეტის დარღვევას ნიშნავსო.

ჩიფუ, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). იაპონელებმა შეაკეთეს რუსების გემთ-საშენებელი დალნიში და ამ ჟამად იქ აკეთებენ იაპონელთა კონტრ-ნაღმიან გემს.

ჩიფუ, 27 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). 700 კაცისაგან შემდგარი იაპონელთა რაზმი, რომელიც პორტ-არტურის ახლოს მიდიოდა, მიწაში ჩაჭყობილ ელექტრონის ნაღმს წააწყდა; ნაღმი აფეთქდა და ამოსწყვიტა რაზმი; მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩა. პორტ-არტურიდან გამოქცეული ჩინელები იუწყებიან, რომ ამგვარივე უბედურება ეწია იაპონელთ № 2-ს სიმაგრეს ახლოს. დაწვრილებით ეს ამბავი არ იციან.

ვეი-ჰაი-ვეი, 26 აგვისტო („რეიტ. სააგ.“) [illegible], რომლებიც სცდილობდნენ შეეტყოთ 25 [illegible] ღამე ზარბაზნების სროლის მი[illegible]ებიან, რომ ამ დროს სინათლე მოსჩანდ[illegible] შეუძლებელი იყო იმის გაგება, პ[illegible]რიდან გამოსულ რუსის გემებს [illegible] იაპონელები ზარბაზნებს, თუ [illegible]

[illegible] აგვისტო („რეიტ. სააგ.“). იაპონელთა [illegible] ექსპედიციის აფიცრები, რომელნიც გაგზავნილ იქნენ „ნოვიკ“-ის მდგომარეობის გასაცნობად, იუწყებიან, რომ „ნოვიკ“-ი გამოირიყა ნაპირზე, კორსაკოვის კანდელის სამხრეთ-აღმოსავლეთით, 900 მეტრის მანძილზე. გემის შუაგულის ნაწილი თითქმის სრულებით წყალ ქვეშაა, ზედა პალუბა წყალ ქვეშაა ½ მეტრის სიღრმეზე. არ შეიძლება დაწვრილებით იქნას გამორკვევა, თუ რამდენად დაზიანებულია გემის ქვედა ნაწილი, ცხადია-კი, რომ ძლიერ დაზიანებული უნდა იყოს. რუსის ჯარი ესროდა იაპონელთ, რომელნიც უზარალოდ წავიდნენ.

ტოკიო, 27 აგვისტო („რეიტ. სააგ.“). ჯერ გამოქვეყნებული არ არის ოფიციალური მოხსენება ლიაოიანის ბრძოლაში იაპონელთა ზარალის შესახებ; ამბობენ-კი, რომ ზარალი დიდი იყო. მაგალითად, ცენტრის არმიის რამდენიმე პოლკმა დაჰკარგა ყველა უფროსი აფიცერი; ერთ როტაში მოკლულ იქნა ყველა აფიცერი და უნტერ-აფიცერი და უფროსობა უბრალო სალდათმა იკისრა. ბრძოლის დასასრულს ამ როტაში ცოცხალი გადარჩა 16 კაცი.

27 აგვისტო

ატკარსკი. ხოლერის მოახლოვების გამო სამაზრო სასანიტარო კომისიამ დაადგინა, მაზრაში 4 ადგილას მოაწყოს სასანიტარო სადგურები. ამ თვის ხარჯად გამოანგარიშებულია 10 ათასი მანეთი.

სტამბოლი. ბითლისის, ვანის და ერზერუმის ვილაიეტებში საქმე ცუდად არის, მაგრამ ისე კი არა, როგორც არა ერთხელ აღუნიშნავთ. პორტას სხვა-და-სხვა სადიპლომატო წრეებიდან რჩევა მისცეს, ზომები მიიღოს მეამბოხეთა რაზმების უწესოებათა მოსასპობად.

27 აგვისტო

პეტერბურგი. უმაღლესი ბრძანება: ვილნოსა, კოვნოსა და გროდნოს გენერალ-გუბერნატორი გენერალ-ადიუტანტი გენერალ-ლეიტენანტი თავადი სვიატოპოლკ-მირსკი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრად, ისე კი რომ გენერალ-ადიუტანტის წოდება დარჩეს. —28 აგვისტოს გენერალ-ადმირალის თანადასწრებით ახალ საადმირალოში საძირკველს ჩაუყრიან საკანონირო ნავს „ხივინეც“-ს. ამავე დღეს წყალში ჩაუშვებენ სანაღმო ტრანსპორტს „ვოლგა“-ს.

ფრანკფურტი მაინზე. პორტამ შეატყობინა თავისს ელჩებს, რომ იგი პრინცის გიორგის სურვილის ასრულებას კრიტის შესახებ დიდ სახელმწიფოთა მიერ, Status quo-ს აშკარა დარღვევად მიიჩნევს, რომლის შედეგისათვის არავითარს პასუხს არ აგებს. პორტამ მიიღო უმრავლეს კაბინეტებისაგან დამამშვიდებელი ცნობები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ განზრახული არაა არავითარი ცვლილება კრიტის სახელმწიფო წეს-წყობილებაში.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

განცხადებანი

ქ. თელავში რუსის ოჯახი იყვანს ორ ბავშს გიმნაზიასა, ანუ კადეტთა კორპუსისთვის მოსამზადებლად. ადრესი: იკითხეთ ქ. თელავის ხაზინაში ბ-ნ სერებრიაკოვთან. (3—288—1)

ქუთაისში
კბილის ექიმი
დავით ს-ძე რიჟინაშვილი
პუშკინის ქუჩა, № 10, სახლი იაკ. გოკიელოვისას მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათზე, საღამოს 5—7 საათზე. (30—3512—10)



СѢДЕЛЬН. СПЕЦІЯЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიის ახლოს. (ჭ.—176—82)

კალოშებისა

და რეზინის სხვა საქონლისათვის
უდიდესი ჯილდო
(Grand prix)
პარიზის გამოფენაზე
მიენიჭა რუსეთში მხოლოდ
ამხანაგობას
რუსეთ-ამერიკის
რეზინის მანუფაქტურისას
ს.-პეტერბურგში,
დაარსებულს **1860** წელს

რეზინის კალოშების ყიდვის დროს სთხოვენ ყურადღება მიაქციონ კალოშის ძირზე ნიშანს, განსაკუთრებით ამხანაგობის დაარსების წელიწადს „1860“ და სიტყვას
„С.-Петербургъ“
წითელ სამკუთხში (ფაბრიკის ნიშანია).
ნარდათ ვაჭრობას აწარმოებს სავაჭრო სახლი

„ლეოპოლდ ნეიშელლერი“
პეტერბურგს. [illegible], ეკატერინბურგს, დონის როსტოვს, ხარკოვს, ირკუტსკს, [illegible] და ტფილისს.